ichange.gov.ge
პეტიციების პორტალი

ichange.gov.ge

პორტალის მომხმარებლის სახელმძღვანელო

USAID
ამერიკელი ხალხისგან

ichange.gov.ge

პორტალის მომხმარებლის სახელმძღვანელო

2017

სახელმძღვანელო მომზადებულია პროექტ „I -Change პორტალის საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებისა და განათლების კამპანიის“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ის შეიძლება არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

შინაარსი

შესავალი 5
რა არის OGP? 6
პორტალის შესახებ 7
რა არის ელექტრონული პეტიცია? 8
როგორ დავრეგისტრირდე? 9
როდის არ მიიღებენ და არ გამოაქვეყნებენ პეტიციას! 12
პეტიციის განხილვა 13
როგორ მოვიზიდოთ ხელმომწერები? 14
პორტალის მოდერატორი 14
ელექტრონული პეტიციის ექსპერტთა კომისია 15
პეტიციის ინიცირება - გამოქვეყნება (გრაფიკი) 18
პეტიციის გამოქვეყნება - გადაწყვეტილების მიღება (გრაფიკი) 19

შესავალი

ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში 2012 წელს სახელმწიფომ 2012-2013 წლების სამოქმედო გეგმით აიღო მოქალაქის პორტალის შექმნის ვალდებულება, ichange.gov.ge.[1] აღნიშნული ვალდებულება 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმაშიც აისახა[2].

პეტიციის შექმნა მიზნად ისახავს საჯარო პოლიტიკაში საზოგადოების ჩართულობის, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებებისა და საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფას, საქართველოს მთავრობისა და საზოგადოების დაახლოების ხელშეწყობას. პორტალი სრულად ამოქმედდა და ინტერნეტსივრცეში გამოჩნდა 2017 წლის მაისში.

OGP-ის ფუნდამენტური პრინციპები – მთავრობათა ღიაობა, გამჭვირვალობა, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა და სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობა – საქართველოს მთავრობამ სტრატეგიული მნიშვნელობის ღირებულებებად აღიარა.

წინამდებარე სახელმძღვანელოში მოცემულია პორტალზე დარეგისტრირების, პეტიციის წარდგენისა და პორტალის გამოყენების სხვა მნიშვნელოვანი წესები.

---

1 http://bit.ly/2yIAcCN
2 https://goo.gl/44KMd6

რა არის OGP?

ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP) მრავალმხრივი ინიციატივაა. ოფიციალურად 2011 წლის 20 სექტემბერს დაარსდა და თავდაპირველად 8 ქვეყანას აერთიანებდა[3]. 2011 წლიდან დღემდე 67 ქვეყანა შეუერთდა[4]. ინიციატივა მთავრობებისა და სახელისუფლებო შტოების მეტ გამჭვირვალობას გულისხმობს. პარტნიორობის მონაწილე ქვეყნების მთავრობები იღებენ ვალდებულებას, მოქალაქეებისათვის იყვნენ უფრო ღია და გახსნილი, ჩართონ ისინი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ხელმისაწვდომი და კომფორტული გახადონ სახელმწიფო სერვისები. აღებული ვალდებულებების შესრულების ხარისხით განისაზღვრება ქვეყნის წარმატება „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ფარგლებში.

საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელიც „ღია მმართველობის პარტნიორობას“ 2011 წლის სექტემბერში შეუერთდა. 2017 წელს საქართველო OGP-ის თავმჯდომარე ქვეყანა გახდა. საერთაშორისო პარტნიორობას საქართველო 2017 წლის 1-ლი ოქტომბრიდან 2018 წლის 1 ოქტომბრამდე (1 წლის ვადით) უხელმძღვანელებს.

საქართველოში „ღია მმართველობის პარტნიორობის“ პროცესს წარმართავს და კოორდინაციას უწევს იუსტიციის სამინისტრო[5]. ის წარმოადგენს ქვეყნის სხვადასხვა უწყებას „OGP„-ის ფორმატში საერთაშორისო დონეზე.

---

3 ბრაზილია, ინდონეზია, მექსიკა, ნორვეგია, ფილიპინები, სამხრეთ აფრიკა, გაერთიანებული სამეფო და ამერიკის შეერთებული შტატები;
4 https://www.opengovpartnership.org/
5 http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/273

პორტალის შესახებ

საქართველოს მთავრობამ 2017 წლის მაისში დაამტკიცა დადგენილება, რომლითაც განისაზღვრა ელექტრონული პორტალის (ichange.gov.ge) შექმნის და ამ პორტალით სარგებლობის წესები და პირობები[6].

აღნიშნული დადგენილება განსაზღვრავს მოქალაქეების მიერ საქართველოს მთავრობისათვის ელექტრონული პეტიციების წარდგენის, პეტიციების მიღებისა და განხილვის წესებს და პროცედურებს, ასევე, იმ პრინციპებსა და პირობებს, რომლებსაც უნდა ეფუძნებოდეს ელექტრონული პეტიციით სარგებლობის პროცესი.

დადგენილებით, ასევე, განსაზღვრულია მთავრობასა და მოქალაქეებს შორის ელექტრონული კომუნიკაციის სტანდარტები:

6 https://matsne.gov.ge/ka/document/view/3672138

ელექტრონული პორტალის მოქმედება მხოლოდ საქართველოს მთავრობის კომპეტენციის საკითხებზე ვრცელდება.



რა არის ელექტრონული პეტიცია?

ელექტრონული პეტიცია გულისხმობს ichange.gov.ge პორტალის მეშვეობით საქართველოს მთავრობისგან რეაგირების მოთხოვნას.

ელექტრონული პეტიციის ინიცირებისა და მასზე ხელმოწერის უფლება საქართველოს ყველა სრულწლოვან მოქალაქეს აქვს.

ელექტრონული პეტიციის მიღება და ichange.gov.ge-ის პორტალზე გამოქვეყნება მოხდება იმ შემთხვევაში, თუ:

- მოთხოვნა მკაფიოდ ფორმულირებულია
- საკითხი საქართველოს მთავრობის კომპეტენციას მიეკუთვნება
- არ მომხდარა მისი განხილვა სხვა პეტიციით
- წარმოდგენილია სახელმწიფო ენაზე
- ინიციირებულია საქართველოს სრულწლოვანი მოქალაქის მიერ

როგორ დავრეგისტრირდე?

პეტიციის შექმნამდე/ხელმოწერამდე მომხმარებელი აუცილებლად უნდა დარეგისტრირდეს პორტალზე.



ichange.gov.ge-ის პორტალზე რეგისტრაციისთვის საჭიროა შემდეგი სავალდებულო ინფორმაციის მითითება:

- სახელი, გვარი
- პირადი ნომერი
- ელექტრონული ფოსტის მისამართი
- მობილური ტელეფონის ნომერი
- პაროლი

მითითებული ინფორმაცია კონფიდენციალურია! იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქე ხელმოწერით დააფიქსირებს პეტიციის მხარდაჭერას, პორტალზე მხოლოდ მისი ინიციალები გამოჩნდება, ხოლო პეტიციის შექმნის შემთხვევაში სახელი და გვარი სრულად იქნება წარმოდგენილი.



თუ მოქალაქეს უკვე აქვს პროფილი სხვა სამთავრობო ვებგვერდზე ან მონაცემთა ბაზებში (http://my.gov.ge, www.rs.ge და სხვა), ichange.gov.ge-ის პორტალზე დასარეგისტრირებლად მას შეუძლია გამოიყენოს არსებული პარამეტრები (შეიყვანოს იმავე მომხმარებლის სახელი და პაროლი).

რეგისტრაციის საფეხურის გავლის შემდეგ მოქალაქეს შეუძლია პორტალზე ავტორიზაცია. ავტორიზაციის შემდეგ კი მას საშუალება აქვს, შექმნას ახალი ან ხელი მოაწეროს უკვე არსებულ პეტიციებს.

პეტიციის შექმნის შემდეგ მომხმარებელს შეუძლია საკუთარ პროფილში ნახოს ინფორმაცია მის მიერ შექმნილი პეტიციების შესახებ: ხელმოწერების რაოდენობა, ვადა, მოდერატორის კომენტარი; ასევე, უკვე ხელმოწერილი პეტიციები და მართოს საკუთარი პროფილი.

მომხმარებელს შეუძლია, ხელმოწერა დააფიქსიროს პეტიციების განუსაზღვრელ რაოდენობაზე, თუმცა თითოეულ პეტიციას ერთი კონკრეტული მომხმარებელი მხოლოდ ერთხელ აწერს ხელს.

პორტალზე დარეგისტრირებულ ყველა მომხმარებელს აქვს უფლება, ხელი მოაწეროს პორტალზე გამოქვეყნებულ ელექტრონულ პეტიციას; სურვილის შემთხვევაში და შესაბამისი პირობის მონიშვნის შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე ავტომატურად მიიღებს პეტიციის სტატუსთან დაკავშირებულ სიახლეებს.

როდის არ მიიღებენ და არ გამოაქვეყნებენ პეტიციას!

მთავრობის კომპეტენციას არ განეკუთვნება!

ნათლად არ გადმოსცემს მოსაზრებას, იდეას/შემოთავაზებას!

შეიცავს პოლიტიკურ, პროპაგანდულ, კომერციულ შინაარსს!

შეურაცხმყოფელი, უხამსი, გამომწვევი შინაარსის და ხუმრობის მიზნით არის ინიცირებული!

შეიცავს სიძულვილის, დისკრიმინაციის, ძალადობის საფრთხეს, ინდივიდის ან რომელიმე ჯგუფისთვის ზიანის მომტან მოწოდებებს!

საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობის ან ძალადობით შეცვლის, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის ან ისეთი მოწოდებების შემცველია, როგორიც არის ომისა და ძალადობის პროპაგანდა, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს და ქმნის ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს, ასევე საქართველოს კანონმდებლობის დაუმორჩილებლობის მოწოდებების შემცველია!

ეხება მხოლოდ ერთი კონკრეტული პიროვნების ინტერესებს, პერსონალურ გარემოებას ან საკითხს!

ეწინააღმდეგება მთავრობის დადგენილებისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს!

პეტიციის განხილვა

მიღების კრიტერიუმების გავლისა და პორტალზე გამოქვეყნების შემდეგ პეტიციამ 30 კალენდარული დღის ვადაში უნდა მოაგროვოს 10 000 ხელმოწერა.

იმ შემთხვევაში, თუ პეტიცია განსაზღვრულ ვადაში ვერ მოაგროვებს ხელმოწერების აუცილებელ რაოდენობას, ჩაითვლება ვადაგასულად, ichange.gov.ge-ის პორტალზე დაიხურება და შეუძლებელი გახდება ხელმოწერების დამატება.

ხელმოწერების შეგროვების შემდეგ, ichange.gov.ge-ის პორტალის ადმინისტრატორი (შემდეგში მოდერატორი) პეტიციას განსახილველად უგზავნის ელექტრონული პეტიციის ექსპერტთა კომისიას და ხელმოწერების შეგროვებიდან 20 დღის ვადაში ნიშნავს კომისიის სხდომას. სხდომის გამართვამდე კომისია ინფორმაციას აწვდის მოდერატორს ყველა შესაძლო ექსპერტისა და სპეციალისტის მოწვევის შესახებ. თავის მხრივ, მოდერატორი დეტალურ ინფორმაციას აწვდის კომისიას პეტიციის შესახებ და უზრუნველყოფს ექსპერტთა სხდომაზე დასწრებას.

კომისიამ ელექტრონულ პეტიციაზე ოფიციალური პასუხი უნდა მოამზადოს და პორტალზე გამოსაქვეყნებლად გადასცეს მოდერატორს ხელმოწერების შეგროვებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

ელექტრონულ პეტიციაზე ოფიციალური წერილობითი პასუხი კარგად უნდა დასაბუთდეს და მკაფიოდ გამოხატოს საქართვე-

ლოს მთავრობის პოზიცია კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის ინიციატივით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსთან შეთანხმებით, ელექტრონული პეტიციის განხილვა შესაძლებელია საქართველოს მთავრობის სხდომაზე.

ელექტრონულ პეტიციაზე ოფიციალური პასუხის საბოლოო რედაქციას მოდერატორი ichange.gov.ge-ის პორტალზე განათავსებს კომისიის მიერ მისი მიწოდებიდან 1 კალენდარული დღის განმავლობაში.

როგორ მოვიზიდოთ ხელმომწერები?

ichange.gov.ge-ზე პეტიციის გამოქვეყნების შემდეგ პეტიციის ავტორს პორტალი შესაძლებლობას აძლევს, სოციალური ქსელებით (facebook ან twitter) ან ელექტრონული ფოსტით გააზიაროს საკუთარი ინიციატივა. მომხმარებელი ამ გზით შეძლებს, საქართველოს უფრო მეტ მოქალაქეს მიაწვდინოს ხმა პეტიციაში დასმული პრობლემის შესახებ, აცნობოს პეტიციის გამოქვეყნება და მოიზიდოს ხელმომწერები.

პორტალის მოდერატორი

ichange.gov.ge-ის მოდერატორი საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საჯარო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურეთა ჯგუფია, რომელიც მართავს ელექტრონული პეტიციების სისტემას. მოდერატორი ზედამხედველობს პეტიციებთან დაკავშირე-

ბულ სრულ პროცესს, იხილავს ყველა ინიცირებულ პეტიციას და აფასებს მის შესაბამისობას გამოქვეყნების კრიტერიუმებთან და სტანდარტებთან. მოდერატორი საკუთარი ინიციატივით იწვევს ელექტრონული პეტიციის ექსპერტთა კომისიას იმ შემთხვევაში, თუ არ არის დარწმუნებული ელექტრონული პეტიციის მიღების კრიტერიუმებთან შესაბამისობაში; უზრუნველყოფს პეტიციის მიწოდებას ექსპერტთა კომისიისთვის და მათ მიერ მომზადებული პასუხის განთავსებას ელექტრონულ პორტალზე; წარმართავს მომხმარებლებთან კომუნიკაციას და საჭიროების შემთხვევაში განუმარტავს ელექტრონულ პეტიციებთან დაკავშირებული პროცესის ტექნიკურ საკითხებს; აფასებს ელექტრონული პეტიციების მოდელის წარმატებულობას; ამზადებს ყოველწლიურ ანგარიშებს მასში ცვლილებების შეტანის საჭიროების ან ფუნქციური გაფართოების მიზნით.

ელექტრონული პეტიციის ექსპერტთა კომისია

ელექტრონული პეტიციის ექსპერტთა კომისია განიხილავს მხოლოდ იმ პეტიციებს, რომლებიც ხელმოწერების აუცილებელ რაოდენობას დააგროვებენ.

კომისიის წევრების პერსონალურ შემადგენლობას საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი განსაზღვრავს.

ექსპერტთა კომისიის წევრები არიან:

- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენელი
- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის კომუნიკაციის დეპარტამენტის წარმომადგენელი
- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში (სამსახურის) წარმომადგენელი
- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამთავრობო გეგმებისა და ინოვაციების სამსახურის წარმომადგენელი
- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ელექტრონული მმართველობის სამსახურის წარმომადგენელი
- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის კომუნიკაციის დეპარტამენტის წარმომადგენელი

კომისიას უფლება აქვს, საკუთარი ინიციატივით, განსახილველი ელექტრონული პეტიციის შინაარსის გათვალისწინებით, მოიწვიოს წარმომადგენელი სხვა სამინისტროებიდან და სახელმწიფო უწყებებიდან. კომისიის მოთხოვნა წარმომადგენლის მოწვევის შესახებ აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებებისთვის სავალდებულოა.

კომისიის სხდომები შესაძლოა ჩატარდეს ელექტრონული ფორმით.

გადაწყვეტილება კომისიის სხდომაზე მიიღება უბრალო უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ კომისიის სრული შემადგენლო-

ბის ერთი მესამედისა.

კომისიას უფლება აქვს, შეიმუშაოს და დაამტკიცოს პორტალით სარგებლობის სტანდარტული პირობები.

კომისიის ორგანიზაციულ და ტექნიკურ საქმიანობას წარმართავს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ელექტრონული მმართველობის სამსახური, რომელიც ამზადებს კომისიის სხდომაზე წარსადგენ დოკუმენტაციას, ორგანიზებას უწევს კომისიის შეხვედრებს, აწარმოებს სხდომების საოქმო ჩანაწერებსა და აღრიცხვას, იწვევს ექსპერტებსა და სპეციალისტებს კომისიის სხდომებზე.

კომისია ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე.

პეტიციის ინიცირება – გამოქვეყნება (გრაფიკი)



პეტიციის ინიცირება – გამოქვეყნება (გრაფიკი)